საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 31.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი მუსხელიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლევან მადათოვი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
იაგო კაჭკაჭიშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მაია გონაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკატერინე აზარაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.

შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ზაზა რუხაძე - პროფესორი, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი:
მარიამ დალაქიშვილი.

სხდომა 16:15 საათზე დაიწყო. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186 და №187 გადაწყვეტილებში ცვლილების შეტანის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186, №187 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის საკითხი

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახლდათ შემდეგი გარემოება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2016 წლის ნოემბერსა და 2017 წლის იანვარში წარმოდგენილ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორესპონდენცია „ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის №1421811, №63217). აღნიშნული წერილით ენობრივი სისწორის დადგენის მიზნით, შესათანხმებლად წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამის დიპლომის ფორმის პროექტი, რომელსაც თან ერთვის, სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შპს კავკასიის უნივერსიტეტსა და შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ. ასევე, ზემოაღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ცენტრში წარმოდგენილია შუამდგომლობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სახელზე, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ითხოვენ, რომ მოხდეს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186 და №187 გადაწყვეტილებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და პროგრამა მიჩნეულ იქნას აკრედიტებულად, როგორც ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა.

ლევან მადათოვმა საბჭოს განუმარტა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი და შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის გზით ახორციელებენ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186 და №187 გადაწყვეტილებების საფუძველზე. სააკრედიტაციო განაცხადები ამ პროგრამებთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილი იქნა ცალ-ცალკე თითოეული დაწესებულების მიერ.

ლევან მადათოვმა ასევე აღნიშნა, რომ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დეტალური რეგულაციები ამოქმედდა ამ პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2015 წლის 27 ნოემბერს შესული ცვლილებებით განისაზღვრა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ტერმინი და დაზუსტდა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი და პირობები. ცენტრში არსებული სააკრედიტაციო მასალების შესწავლის შედეგად ირკვეოდა, რომ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი იყო და ხორციელდებოდა დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის გზით. სამივე უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა პროგრამის ერთობლივ განხორციელებას. კერძოდ, პროგრამის კურიკულუმი და მასში შემავალი კურსები შემუშავებული იყო ერთობლივად, სამივე დაწესებულების პროფესორ-მასწავლებელთა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, პარტიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის თანახმად, ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა იყო საერთო კურიკულუმის მქონე პროგრამა, რომელიც აკრედიტაციის მინიჭების დროიდან სამივე უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდებოდა. სტუდენტი ირიცხებოდა სამი დაწესებულებიდან ერთ-ერთში (სტუდენტის მიერ არჩეულ დაწესებულებაში), ხოლო სასწავლო მოდულებს გადიოდა სამივე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დიპლომის

ფორმა დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი იყო ერთობლივი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმის სახით, რომელზეც მოცემული იყო სამივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ შესაბამისი მონაცემები.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნდა საბჭოს ემსჯელა წარმოდგენილ შუამდგომლობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ცენტრმა დაიწყოს სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთობლივი პროგრამის განხორციელების თაობაზე დადებული ხელშეკრულების განხილვისა და შეთანხმების პროცესი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თამარ ვეფხვაძემ დაადასტურა ლევან მადათოვის მიერ აღნიშნული ინფორმაცია, მან აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო ერასმუსის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა აგებულია ისე, რომ სტუდენტი 120 კრედიტის ფარგლებში სასწავლო კურსებს გადის სამივე პარტნიორ უნივერსიტეტში. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო სოციოლოგიის ბლოკით, შპს კავკასიის უნივერსიტეტი - ეკონომიკის ბლოკით, ხოლო შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი - სამართლის ბლოკით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ ნაწილდებოდა სამაგისტრო გრანტი დაწესებულებებზე, რაზეც თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი შეადგენდა 30-ს. სტუდენტი განაწილებული იყო უნივერსიტეტებს შორის შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, სასწავლო გრანტი თანაბრად ნაწილდებოდა დაწესებულებებზე. თამარ ვეფხვაძემ დამატებით აღნიშნა, რომ განსხვავებული საფასურების გამო იოლი არ იყო უნივერსიტეტებთან შეთანხმება, თუმცა პროექტმა მისცა მათ საშუალება, რომ თანამშრომლობა შემდგარიყო.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ევროპელი ექსპერტების ჩართულობით, რაზეც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, მაგდებურგის უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯი (ბულგარეთი) და სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს მარიამ დალაქიშვილს რამდენად იყო გათვალისწინებული ექსპერტთა რეკომენდაციები და რამდენად იყო ეს პროგრამა თავისი შინაარსიდან გამომდინარე ერთობლივი. მარიამ დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა შინაარსიდან, სტრუქტურიდან გამომდინარე იყო ერთობლივი, რომელსაც ახორციელებდა ზემოაღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შესაბამისად, სააკრედიტაციო ვიზიტის პერიოდშივე ექსპერტებმა დაწესებულებებს მისცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამა როგორც ერთობლივი ისე განხორციელებულიყო და ერთიანი დიპლომი გაეცათ, თუმცა, სამწუხაროდ, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლეოდა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186 და №187 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185, №186 და №187 გადაწყვეტილებებში და:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №185 გადაწყვეტილების:

ა.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ."

ა.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია."

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №186 გადაწყვეტილების:

ბ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ."

ბ.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია."

გ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №187 გადაწყვეტილების:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ."

გ.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია."

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ, 17:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ანანო გიორგაძე